დამტკიცებულია 2007 წლის 15 ივნისის წარმომადგენლობითი საბჭოს №9 ოქმით.

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი და სასწავლო პროცესში ჩართული ნაწარმოების საავტორო უფლებების გადაცემის წესი

1. ეს წესი არეგულირებს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (შემდგომში ავტორი) ურთიერთობებს აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი იმ ნაწარმოების საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, რომელიც ჩაერთვება უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში (შემდგომში ნაწარმოები).
2. უნივესრიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლებები, ამ წესით დადგენილი ფორმით, გადაეცემა უნივერსიტეტს.
3. ნაწარმოებზე საავტორო უფლება უნივერსიტეტს გადეცემა განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით, რომელიც იდება უნივერსიტეტსა და ნაწარმოების შემქმნელ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის.
4. განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ნაწარმოების ავტორი გადასცემს უნივერსიტეტს იმ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია საავტორო და მომიჯნავე უფლების შესახებ კანონის მე-18 მუხლით, კერძოდ უნივერსიტეტს აქვს აღნიშნული ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება რაც ნიშნავს განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

   ა) ნაწარმოების რეპროდუცირება (რეპროდუცირების უფლება);

   ბ) ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების გავრცელება გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით (გავრცელების უფლება);

   გ) ნაწარმოების ასლების იმპორტირება გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით, იმ ასლების ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით (იმპორტის უფლება)

   დ) ნაწარმოების საჯარო ჩვენება (საჯარო ჩვენების უფლება);

   ე) ნაწარმოების საჯარო შესრულება (საჯარო შესრულების უფლება);

   ვ) ნაწარმოების საჯარო გადაცემა, პირველი ან/და ხელახალი გადაცემის ჩათვლით; აგრეთვე ნაწარმოების გადაცემა სადენით ან უმავთულო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან (საჯარო გადაცემის უფლება);

   ზ) ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება);

   თ) ნაწარმოების გადამუშავება (გადამუშავების უფლება);

ი) ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის გაქირავება ან/და მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა;
კ) ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება.

5. განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულების დადების შემდეგ უნივერსიტეტი გამოსცემს ნაწარმოებს სახელმძღვანელოს სახით და ახდენს მის რეალიზაციას, ამ პერიოდში ავტორს ეკრძალება სხვა პირთან აღნიშნული ნაწარმოების გამოყენების, გამოცემისა და რეალიზაციის თაობაზე ხელაშეკრულების გაფორმება.
6. იმ შემთხვევაში , თუ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოების უკვე გამოცემულია და გაყიდვაშია, ავტორი გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, უნივერსიტეტის წიგნის მაღაზიაში რეალიზაციის მიზნით, გადასცემს უნივერსიტეტს ამ სახელმძღვანელოს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით. მას ეკრძალება უნივერსიტეტში დამატებით თავად შემოიტანოს ეს სახელმძღვანელო და მოახდინოს მისი რეალიზაცია.

6[1]. წიგნების სარეალიზაციო ღირებულებას განსაზღვრავს გამომცემლობის ხელმძღვანელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

6[2]. მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია უსასყიდლოდ გადასცეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას სახელმძღვანელოების ის რაოდენობა, რომელიც უტოლდება იმ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 20%-ს, რომელთა სასწავლო პროგრამისათვის არის ეს სახელმძღვანელო განკუთვნილი.

7. ამ წესის მე-6 პუნქტში მითითებული სახელმძღვანელოების რაოდენობის გამოანგარიშებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომელთა სასწავლო პროგრამისათვის არის ეს სახელმძღვანელო განკუთვნილი.
8. ნაწარმობის ავტორი ვალდებულია დაიცვას საავტორო უფლებების გადაცემის წინამდებარე წესი.
9. იმ შემთხვევაში თუ, ნაწარმოების ავტორი დაუშვებს მის მიერ უნივერსიტეტისათვის გადაცემული საავტორო ქონებრივი უფლებების სხვა პირების მიერ გამოყენებას (ნაწარმოების გამოცემა სხვა გამომცემლობაში, მისი სხვა გზით გავრცელება და ა.შ.) უნივერსიტეტის უფლებამოსილია შეწყვიტოს მასთან დადებული განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულება, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს ავტორთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მოშლაც.

10. უნივერიტეტი ამ დებულების მე-9 პუნქტში აღნიშნული გარემოების არსებობისას ვალდებულია წერილობით შესთავაზოს ნაწარმოების ავტორს უნივესრიტეტისათვის გადაცემული საავტორო ქონებრივი უფლებების სხვა პირთა მიერ გამოყენების აღკვეთა და გააფრთხილოს იგი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში უნივესრიტეტი გამოიყენებს განსაკუთრებელლი ლიცენზიის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. თუ, გაფრთხილების მიუხედავად, საავტორო ქონებრივი უფლებებით უკანონო სარგებლობა გაგრძელდება, უნივერსიტეტი უფლებამოსილი ხდება მოშალოს განსაკუთრებული ლიცენზიისა და შრომითი ხელშეკრულებები.
11. ამ წესის მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა გამოყენებული იქნება ამ წესის მე-6, 6^1 და 6^2 პუნქტების დარღვევის შემთხვევაშიც.